



საჯარო სამართლის იურიდიული პირის  
წამლის სააგენტოს უფროსის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA031526427692719

№ 15-1053/თ

22 / ივლისი / 2019 წ.

**ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის მისაღებად შესაბამისი ფორმების  
დამტკიცების შესახებ**

„ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილების დანართი №3-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წამლის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №01-61/ნ ბრძანების დანართის მე-5 მუხლის „ნ“ პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

ა) ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის მისაღებად სააპლიკაციო ფორმა (დანართი №1);


ბ) ავტორიზებულ აფთიაქში ფარმაცევტულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ სააგენტოში წარსადგენი ფორმა (დანართი №2);

2. უზრუნველყოფილ იქნას ბრძანებით დამტკიცებული ფორმების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (drugagency.moh.gov.ge) გამოქვეყნება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს უფროსის მოადგილეს, თ. ჯიქიას.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

ქეთევან ნიკოლიშვილი